ავტოსადგომის ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ.თბილისი ___ მაისი 2026 წ.

I. ერთი მხრივ, **შპს „___", ს/ნ: _____,** წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით საგანელიძის მინდობილი პირის **ნატალია კოპაძის მიერ, პირადი #01009006722**, თანახმად ნოტარიუს ნანა ბაკურაძის მიერ, 2022 წლის 24 ივნისს #_____ დამოწმებული მინდობილობისა, სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი _____ ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 3, შენობა 14ა, ტელეფონი: 591 90 90 70, ელექტრონული ფოსტის მისამართი: jikiahouse@gmail.com

II. მეორე მხრივ, **----------, პირადი #----------, ტელ: ----------, ელ.ფოსტა: ----------, ფაქტობრივი მისამართი:**

დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ტერმინთა განმარტება.

თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა.

1.1.	**ხელშეკრულება**	წინამდებარე ხელშეკრულება.
1.2.	**გამყიდველი**	ხელშეკრულების I პუნქტში მითითებული პირი.
1.4.	**მყიდველი**	ხელშეკრულების II პუნქტში მითითებული პირი.
1.5.	**მხარე**	მყიდველი ან გამყიდველი კონტექსტის შესაბამისად.
1.6.	**მხარეები**	ხელშეკრულების რომელიმე ორი, ან ყველა მხარე ერთობლივად.
1.7.	**მესამე პირი**	ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არაა ხელშეკრულების მხარე.
1.8.	**ავტოსადგომი**	მიწის ნაკვეთის (ს/კ:01.14.05.007.679) /1045 ნაწილი. რომელიც თანდართულ ნახაზზე მონიშნულია ___ რიცხვით ავტოსადგომი.
1.9.	**გასაყიდი ქონება**	
1.10.	**ქონების ღირებულება**	**10 000 (ათი ათასი)** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, ყველა გადასახადის ჩათვლით.
1.11.	**ზე**	მყიდველის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერადმე წინასწარ გადახდილი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 5**00 (ხუთასი)** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით.
1.12.	**გამყიდველის საბანკო ანგარიშის ნომერი.**	გამყიდველის კუთნვილი საბანკო ანგარიში, რომლის ნომერია: **GE33TB7564936050100001 (ლარის ანგარიში, სს „თიბისი ბანკი")**
1.13.	**ახალი მესაკუთრე**	ნებისმიერი პირი, ვისაც მყიდველი გადასცემს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას.

ხელშეკრულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მნიშვნელობა.

2. ხელშეკრულების საგანი.

2.1. ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს გასაყიდ ქონებას.

3. ქონების უფლებრივი მდგომარეობა.

3.1. გამყიდველი იძლევა გარანტიას, რომ ქონება ნამდვილად მას ეკუთვნის, მოპოვებული აქვს კანონიერი გზით, არ არსებობს არავითარი პრეტენზია ან სარჩელი სასამართლოში ან კერძო არბიტრაჟში ქონების საკუთრების უფლებაზე.

3.2. გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს უფლებრივად უნაკლო ქონება, რაშიც მხარეები გულისხმობენ იმას, რომ არც ერთ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს სამართლებრივად დასაბუთებული მოთხოვნები მყიდველს ნაყიდი ქონების გამო. ამასთან, მყიდველი ცნობად იღებს იმ გარემოებას, ქონებაზე რეგისტრირებულია ვალდებულები. მყიდველისთვის ცნობილი და მისაღებია ვალდებულების შინაარსი, მათ შორის ის, რომ ავტოსადოგმის საკუთრებაში მიღების შემდეგ, ვალდებულებით განსაზღვრული ვალდებულებები გავრცელდება მასზე, როგორც მესაკუთრეზე და აღნიშნული არ წარმოადგენს უფლებრივ ნაკლს.

3.3. თუ მყიდველი ქონებას ყიდულობს კომერციული ბანკისგან აღებული სესხით, გამყიდველი უფლებამოსილია ავტოსადგომი დატვირთოს იპოთეკით აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად, რაზეც მყიდველი წინასწარ აცხადებს თანხმობას.

3.4. მყიდველისთვის ცნობილი და მისაღებია, რომ გამყიდველი არაა ვალდებული უზრუნველყოს მყიდველის მიერ ავტოსადგომით შეუფერხებელი სარგებლობა, რაც გულისხმობს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

3.4.1. გამყიდველი არაა ვალდებული უზრუნველყოს ავტოსადგომზე, ამჟამად ან სამომავლოდ, გაჩერებული მესამე პირის მანქანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაყვანა.

3.4.2. გამყიდველი არაა ვალდებული უზრუნველყოს, ამჟამად ან სამომავლოდ, გზის სავალი ნაწილის მეორე ზოლში გაჩერებული მანქანის ((ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაყვანა.

3.4.3. გამყიდველი არაა ვალდებული უზრუნველყოს ავტოსადგომზე ან გზის სავალი ნაწილის მეორე ზოლში ავტოსადგომის გაჩერების პრევენცია.

3.4.4. გამყიდველი არაა ვალდებული უზრუნველყოს ავტოსადგომის ან მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის (მათ შორის განათების ბოძების) დასუფთავება და შეკეთება. (ასეთის საჭიროების შემთხვევაში)

3.5. მყიდველისთვის ცნობილი და მისაღებია, რომ ავტოსადგომი წარმოადგენს არა ცალკე საკადასტრო ერთეულს, არამედ, წილს ხელშეკრულების 1.8 პუნქტში მითითებულ მიწის ნაკვეთში. შესაბამისად, ავტოსადგომის საკუთრებაში მიღების შემდეგ, ის იქნება მიწის ნაკვეთის ერთ-ერთი თანამესაკუთე. ხოლო მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც არ იქნება მყიდველის საკუთრებაში, გამყიდველს შეუძლია ნებისმიერი ფორმით განკარგოს ან უფლებრივად დატვირთოს.

3.6.

4. ქონების ნივთობრივი მდგომარეობა.

4.1. მყიდველს შემოწმებული აქვს ქონების ნივთობრივი მდგომარეობა და არ გააჩნია არანაირი პრეტენზია მასთან დაკავშირებით.

4.2. მყიდველის განცხადება ქონების ნივთობრივ მდგომარეობაზე პრეტენზიის არქონის შესახებ, გულისხმობს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

4.2.1. მყიდველს არ გააჩნია პრეტენზია ქონების კონფიგურაციასთან, სიგანესთან და სიგრძესთან დაკავშირებით.

4.2.2. მყიდველს არ გააჩნია პრეტენზია ქონების საზღვრების ფიზიკურ აღმნიშვნელებთან (ნახაზებთან) დაკავშირებით.

4.2.3. მყიდველს არ გააჩნია პრეტენზია ქონების ქვეშ გამავალ ხაზობრივ ნაგებობასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებით.

4.2.4. მყიდველს არ გააჩნია პრეტენზია ქონებაზე არსებულ განათების ბოძთან დაკავშირებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ადასტურებს, რომ აღნიშნული ბოძი არ უშლის ხელს ქონების ავტოსადგომის დანიშნულებით გამოყენებაში.

4.2.5. მყიდველს არ გააჩნია პრეტენზია მასზედ, რომ მის მიერ შესაძენ ავტოსადგომსა და მგვერდით მდებარე ღია ავტოსადგომებს შორის არ იყოს არანაირი დაშორება.

5. საკუთრებაში გადაცემა.

5.1. ავტოსადგომის მყიდველის საკუთრებაში გადაეცემა წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე.

6. ქონების ღირებულების გადახდა.

6.1. მყიდველს გადახდილი აქვს ქონების ღირებულება.

7. მყიდველის მოვალოება ქონების საკუთრებაში მიღების შემდეგ.

7.1. მყიდველი ვალდებულია გამოიყენოს ავტოსადგომი გამოიყენოს მხოლოდ ავტომანქანის დასაყენებლად და მყიდველს ეკრძალება მასზე ნებისმიერი სახის და კლასის შენობა-ნაგებობის აშენება ან/და დადგმა, მისი ნებისმიერი მასალით შემოღობვა და/ან გადახურვა, ნებისმიერი სახის მცენარის დარგვა ან/და ნებისმიერი სახის, მოცულობის და ფუნქციის მილის გაყვანა. ზემოთაღნიშნული ქმედებების განხორციელება დაშვებულია მხოლოდ გამყიდველის თანხმობის შემთხვევაში. გამყიდველმა, შესაძლოა, აღნიშნული თანხმობის გაცემის უფლება გადასცეს ნებისმიერ მესამე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რაზეც მყიდველი აცხადებს თანხმობას.

7.2. ხელშეკრულების 7.1. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება საჯარო რეესტრში არ რეგისტრირდება.

7.3. ქონების გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ახალ მესაკუთრეს გადააკისროს ამ ხელშკერულების 7.1. პუნქტით განსაზღვრული ვადლებულებები.

8. პერსონალური მონაცემების დამუშავება.

8.1. მომსახურების სრულყოფისა, მყიდველის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულების, მყიდველის მიმართ არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და მყიდველისთვის სხვადასხვა სერვისების შეთავაზების მიზნით, გამყიდველი უფლებამოსილია შეაგროვოს და დაამუშავოს მყიდველის შემდეგი პერსონალური მონაცემები: სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი, რაზეც მყიდველი წინასწარ აცხადებს თანხმობას.

8.2. გამყიდველს უფლება აქვს მყიდველს საკონტაქტო მონაცემებზე გაუგზავნოს შეტყობინებები ხელშეკრულების 13.1. პუნქტში ჩამოთვლილი მიზნების განსახორციელებლად.

8.3. გამყიდველი უფლებამოსილია მყიდველის პერსონალური მონაცემები გადასცეს მესამე პირებს, მათთვის მოთხოვნის დათმობის ან/და მათზე ვალის გადაკისრების შემთხვევაში.

8.4. მონაცემთა მოპოვება, მათი დამუშავება და გამოყენება უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა.

9.1. მყიდველის მიერ ხელშეკრულების 7.1. პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს ჯარიმა 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით და უზრუნველყოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა დარღვევიდან არაუგვიანეს მეორე კალენდარული დღისა. თუ მყიდველი მეორე კალენდარულ დღეს არ აღადგენს პირვანდელ მდგომარეობას, მაშინ ის უხდის გამყიდველს ყოველდღიურად 10 ლარს, მანამ სანამ არ აღადგენს პირვანდელ მდგომარეობას.

9.2. მყიდველის მიერ ხელშეკრულების 7.3. პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს ჯარიმა 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

9.3. ხელშეკრულების შეწყვეტა არ აუქმებს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას.

9.4. გამყიდველს შეუძლია ავტომატურად გაუქვითოს მყიდველს მასზე დაკისრებული პირგასამტეხლოები, მყიდველისთვის ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელი ან დასაბრუნებელი ნებისმიერი თანხიდან.

10. ხელშეკრულების მოქმედება.

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

10.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული ზოგიერთმა უფლებამ ან ვალდებულებამ, თავისი შინაარსით შეიძლება გააგრძელოს მოქმედება ქონების მყიდველის საკუთრებაში გადაცემის შემდეგაც. პერსონალური მონაცემების დამუშავება და ა.შ.

11. ხარჯები

ქონების მყიდველის საკუთრებაში რეგისტრაციის ხარჯები ეკისრება მყიდველს.

12. მხარეთა შორის კომუნიკაცია.

12.1. მხარეთა შორის კომუნიკაცია წარმოებს წერილობით ან ზეპირად.

12.2. წერილობითი ფორმით კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტითაც.

12.3. ელექტორნული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნიდან 48 საათის შემდეგ, თუ რომელიმე მხარე მანამდე არ დაადასტურებს შეტყობინების მიღებას რაიმე ფორმით.

12.4. მხარეები ვალდებულები არიან წინასწარ აცნობონ ერთმანეთს ხელშეკრულების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე რეკვიზიტის ცვლილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ რეკვიზიტზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.

13. დავები.

13.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე უთანხმობის მოლაპარაკებით მოუგვარებლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო, ქართული სამართლის გამოყენებით.

14. დასკვნითი დებულებები.

14.1. წინამდებარე ხელშეკრულებას ხელი შეიძლება მოეწეროს მატერიალურად ან ელექტრონულად, ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. მატერიალური ხელმოწერის შემთხვევაში ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისთვის.

14.2. თუ ხელშეკრულება შედგენილია ქართულის გარდა სხვა ენაზეც, სხვადასხვა ენებზე არსებულ ვარიანტებს შორის წინააღმდეგობისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ვარიანტს.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მყიდველი იმავდროულად ეთანხმება მის ყველა დანართს.

14.4. ყოველი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში,

14.5. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობა რეგულირდება მხოლოდ ხელშეკრულებით და ყველა სახის მოლაპარაკება კარგავს იურიდიულ ძალას.

დანართები:

ხელშეკრულებას თან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ერთვის:

- დანართი N1 -ნახაზი.

მხარეთა ხელმოწერები:

მყიდველი: _____

გამყიდველის სახელით: _____